მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია" ცემენტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე

7 დეკემბერი, 2020

2020 წლის 16 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას" ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს. კერძოდ:

ალტერნატივების ანალიზი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. საქმიანობის განმახორციელებელი არ განიხილავს ადგილმდებარეობის ალტერნატივებს რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტის მე-2 თავში წარმოდგენილია ქვეთავები არაქმედების, საწარმოს განთავსების, ტექნოლოგიური და მწარმოებლურობის, დატვირთვის შემცირება/გადიდების ალტერნატივების შესახებ. ქვეთავები არაქმედების და საწარმოს განთავსების ალტერნატივები ფორმალურად არის განხილული.

კომპანია გეგმავს საწარმოს მშენებლობას თავისივე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ დამატებით ალტერნატიულ ვარიანტები არც კი შესწავლილა პროექტის დაგეგმვის ეტაპზე. 2.3.2 ქვეთავში ვკითხულობთ „საწარმოს პროექტირების პროცესში განიხილებოდა მისი განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა: საპროექტო ტერიტორიის ფუნქციონალური სტატუსი, მისასვლელი გზების, წყალმომარაგების, გაზმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემების სიახლოვე, საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და სხვა" - თუმცა, რეალურად რომელი ალტერნატივების განხილვა მოხდა არ არის წარმოდგენილი.

ამასთან, ქვეთავში არაერთხელ მეორდება, რომ არჩეულ ალტერნატიულ ვარიანტს უპირატესობა მიენიჭა იმიტომ, რომ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი მცირეა, ასევე, ტერიტორიაზე უკვე არის კომუნიკაციის საშუალებები და კომპანიას დამატებით ხარჯების გაღება არ მოუწევს. ნათელია, რომ ადგილმდებარეობის ეს ალტერნატივა ეკონომიკური უპირატესობის გამო იქნა შერჩეული. საერთოდ არ არის ადამიანებზე ზემოქმედების ფაქტორი განხილული და რატომღაც მოსახლეობიდან 195 მეტრით დაშორება უმნიშვნელო პრობლემად არის მიჩნეული.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ტრანსპორტირების ზემოქმედება

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და მზა პროდუქციის გატანა მოხდება საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით. დოკუმენტში შეფასებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედების საკითხი, თუმცა, არსად არ არის ნახსენები მოსახლეობაზე ტრანსპორტის გადაადგილებით ზემოქმედების საკითხი.

ქვეთავში „ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე" ვკითხულობთ „საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება ასევე ავტოტრანსპორტის საშუალებით, თუმცა საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი გადატვირთვა არ მოხდება" - არ არის მოცემული დაახლოებით რა რაოდენობის მანქანის გადაადგილება იგეგმება დღის/ღამის განმავლობაში. ასევე, აუცილებელია დადგინდეს ტრანსპორტირების გეგმა/გრაფიკი. როგორც ანგარიშში არის წარმოდგენილი ქარხანა დღე-ღამეში 20 საათი იმუშავებს, ამიტომ აუცილებელია დადგინდეს იგეგმება თუ არა ღამის განმავლობაში გადაადგილების შეზღუდვა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) მიხედვით - ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. 2019 წელს PM_{10}-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია 1,6-ჯერ, ხოლო $PM_{2,5}$-ის 1,3- ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. PM-ით დაბინძურების მთავარ გამომწვევ მიზეზად კი მრეწველობის სექტორი დასახელდა (მყარი ნივთიერებების გაფრქვევის 50 წყარო, რომელთაგან 47 ძველ რუსთავში, ხოლო 3 ახალ რუსთავშია). დაბინძურება უარყოფით ზეგავლენას ახდენს არამხოლოდ ქალაქ რუსთავზე, არამედ მის მიმდებარე გარდაბნის მუნიციპალიტეტზე და იქ შემავალ სოფლებში ჰაერის ხარისხზე[1]. როგორც კვლევები აჩვენებს, დაბინძურება საკმაოდ აჭარბებს ზდკ-ებს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ იქ დამატებით ახალი ქარხნების მშენებლობა სრულიად მიუღებელია და მხოლოდ არსებული ფონური მდგომარეობის გაუარესებას შეუწყობს ხელს.

ასევე, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მავნე ნივთიერებათა ზდკ ნორმის ფარგლებში იქნება. თუმცა, ზემოაღნიშნულის გამო შესწავლილი უნდა იყოს სხვა საწარმოებთან ერთად, მთლიანობაში რა ზიანის მომტანი იქნება მისი ფუნქციონირება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნედლეული საწარმოს ტერიტორიაზე შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და ჩამოიცლება ნედლეულის მიღების დახურულ საწყობში. საწყობიდან ნედლეული ავტომტვირთავების საშუალებით გადაიზიდება ბეტონის მოედანზე და აირევა. ანგარიშიდან გაუგებარია ეს მოედანი დახურულ, თუ ღია ტერიტორიაზე მდებარეობს. თუ მოედანი ღია უნდა იყოს, მაშინ განხილული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

საზოგადოების ინფორმირებულობა

2020 წლის 24 სექტემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" ცვლილება შევიდა, რომელიც პანდემიის დროს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებას გულისხმობს. ამავე განცხადების მიხედვით, 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩანიშნული საჯარო განხილვები ჩატარდება დისტანციურად, Zoom-ის აპლიკაციის მეშვეობით.

ზემოთაღნიშნულის გამო, 2020 წლის 4 დეკემბერს საჯარო განხილვა დისტანციურად ჩატარდა. 2020 წლის 2 დეკემბერს მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ. რუსთავში და თაზაქენდში. 2

[1] ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022

დეკემბრის მდგომარეობით ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ არ ყოფილა გამოკრული არსად. როგორც, სამინისტროს წარმომადგენელმა საჯარო განხილვაზე განმარტა (ფოტომასალითაც დაგვიდასტურა), განცხადებები საჯარო განხილვამდე დაახლოებით 10 დღით ადრე გააკრა სოფ. თაზაქენდში. სამინისტროს წარმომადგენლის თქმითვე, განცხადება მხოლოდ ქართულად გავრცელდა. მოგეხსენებათ, რომ თაზაქენდის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულად საერთოდ ვერ საუბრობენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართულად წერა-კითხვაზე. შესაბამისად, მათთვის ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდება არაფრის მომცემია.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის საჯარო განხილვაში მონაწილეობის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. ამიტომ მათთვის სწორი ფორმით ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

დასკვნა

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ, საქმიანობის განმახორციელებელმა არ უზრუნველყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისი სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა; ხოლო სამინისტრომ სათანადოდ ვერ უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გავრცელება და შესაბამისად, პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ჩართვა. ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს საქმიანობაზე დადებითი სკოპინგის დასკვნის შესაძლებლობას.